



საქართველოს მთავრობის დადგენილება

№19 2015 წლის 30 იანვარი ქ.თბილისი

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89^მ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განისაზღვროს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროგრამებზე ჩარიცხვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესი და პირობები შემდეგნაირად:

1. აბიტურიენტი, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელ ბაკალავრიატის უმაღლეს

საგანმანათლებლო პროგრამებზე ირიცხება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელ ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, აბიტურიენტს შეუძლია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

3. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი უფლებამოსილია, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლებამინიჭებული პირი, შეარჩოს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.

4. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტი ვალდებულია, მოიპოვოს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ფლობის TOEFL-ის ან IELTS-ის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი, იმ შემთხვევაში თუ, აღნიშნული დოკუმენტი სავალდებულოა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელ ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლისათვის. TOEFL-ის ან IELTS-ის გამოცდის ჩაბარების ვადები, მინიმალური ქულა და სხვა პირობები განისაზღვრება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.

5. ამ დადგენილებით განსაზღვრული მიზნებისათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, უფლება აქვს დაადგინოს „ერთიანი

ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-13 მუხლით დადგენილისგან განსხვავებული ვადები.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ნ.



ირაკლი ღარიბაშვილი